№ 10
შაბათი, 13 იანვარი, 1901 წ.

ბაზეთის ფასი:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 10
შაბათი, 13 იანვარი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ბაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის" ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერია"
გამოვა 1901 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის" რედაქცია,
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიას
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და
ბაქოში, ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ და პირ.
ტელეფონი № 227.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА".

შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის მოწერის დროს 3 მან, პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს 3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში 8 მანეთად დაეთმობათ, ნახევარის წლით—4 მან.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. გეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. გეგთაგეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

სალამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

გუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

სალამოობით:

ა. ნ. შჰაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არმანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Вороцову.

ექიმი
ნიკო ერისთავი,
ველიამინოვის ქუჩა № 34, ქ. ტფილისში იღებს **ნერვებისა და შინაგან** სნეულებით **ავადმყოფთ** (გულის, ფილტვების, სტომაქის სატკივარნი) დილის 9—11 საათ., სადამოს 5—8 საათამ. აგრეთვე ავადმყოფ ბავშვებს. (10—261—10)

ახალი ამბავი

⁂ საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე 11 იანვარს კახეთში გაემგზავრა.

⁂ 1900 წლის 12 იანვარს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს დადგენილების თანახმად, ამიერ კავკასიის უძრავ მამულებზედ საერობო გარდასახადის გაწერა მიმდინარე სამის წლისთვის (1901—1903) იმავე წესით მოხდება, რა წესითაც ხდება სახელმწიფო გარდასახადის გაწერა. ამ გარდასახადის გაწერის უფლება ჩამოერთმევა ქალაქის თვით-მმართველობათ და გარდაეცემა განსაკუთრებულ კომისიებს, ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორთა თავმჯდომარეობით შემდგარს. ამის გამო ტფილისის სახაზინო პალატას უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის უძრავ მამულებისა და საერობო გარდასახადთა შესახებ ყოველ გვარი საქმის წარმოებანი გარდასცეს ადგილობრივ ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორებს.

⁂ რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის

ფელეტონი

მე-XIX საუკუნე *)

გეორგ ბრანდესისა

(თარგმანი)

მე-XIX საუკუნე უპირველესს ყოვლისა გზათა და, საზოგადოდ, მისვლა-მოსვლის პირობათა გაუმჯობესების და გაძლიერების საუკუნე იყო. ამ მხრივ წარსულმა საუკუნემ ბევრად იმაზედ მეტი გააკეთა, რაც უთვალავმა დრომ, იული ცეზარიდგან 1800 წლამდე განვლილმა.

შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნემ შექმნა დღევანდელი საბუნებისმეტყველო საისტორიო მეცნიერებანი, არქეოლოგია, ისტორიული გამოკვლევანი და კრიტიკა.

საზოგადო პოლიტიკაში საუკუნე დაიწყო იმით, რომ ნაპოლეონმა ყველგან, სადაც-კი შესაძლებელი იყო, განახორციელა პრინციპი თანასწორობისა და ამით ერთის მხრით ერთა სიძულილი მოიპოვა, მეორეს—დამოუკიდებლობის შეძენის სურვილი აღუძრა ამ ერთ. 1815—1830 წლებმა გაანატონეს სადმთო კავშირის რეაქცია, 1832 წელიწადმა თავი იჩინა პირველ სოციალურ რევოლუციით. 1848 წელს მთელი განათლებული ევროპა, ინგლისსა და რუსეთს გარდა, რევოლიუციის ალმა მოიცვა. ინგლისმა თავიდგან აიცდინა რევოლიუცია იმიტომ, რომ მეტად თავისუფალი იყო ამისათვის, რუსეთმა-კი იმიტომ, რომ არ იყო თავისუფალი. ამბოხებას ყველგან პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა: ბრძოლას სარჩულად ხალხის თავისუფლება ედო, წოდებრივი ინტერესები ან დაივიწყეს ან კიდევ მეორე და მესამე საგნად გაიხადეს. წვრილ ერთა კეთილ დღეობისათვის 1848 წელს ბევრი არაფერი გაუკეთებია: არც ერთი დაჩაგრული ერი არ განთავისუფლებულა ამ დროს. შედეგად ამ წლის მოძრაობას მოჰყვა ის, რომ თითქმის ყველგან შემოღებულ იქმნა კონსტიტუცია და პარლამენტი, თუმცა იმედი არც ამ ცვლილებამ გაამართლა.

1871 წელს პარიჟში პირველად იჩინა თავი დიდმა სოციალურმა რევოლიუციამ,—მოვლენა, რომელმაც ჩვენ დრომდე დიდი გავლენა იქონია ევროპის პოლიტიკაზედ და რომელსაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ყველგან ლიბერალიზმა ადგილი დაუთმო რეაქციას. უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში საზოგადო პოლიტიკა ორის მოლოდინით იყო მოცული: პირველი—რომ საფრანგეთი ეცდება ორ დაკარგულ პროვინციის დაბრუნებას, ხოლო რადგან გერმანიამა და საფრანგეთმა ძლიერი მოკავშირენი გაიჩინეს, ამ მოლოდინს სამსოფლიო ომის აუცილებლობაც დაერთო ზედ. ეს პირველი მოლოდინი არ გამართლდა.

მეორე მოლოდინი იყო ის, რომ 1871 წელს აღძრული სოციალური კითხვა საუკუნის გასულს სოციალურის რევოლიუციით დასრულდებაო.

არც ეს გამართლდა.

რათა? იმიტომ რომ გამწვავებული შინაური საქმეები რამოდენადმე ჩაანელა იმ ძლიერმა გატაცებამ, რომელიც შედეგად მოჰყვა ახალის ბაზრების, მიწების და ახალშენების შეძენის უზომო სურვილს. დიდმა სახელმწიფოებმა საოცრად მოიწადინეს გაფართოვება და ამასთანავე საოცარი ძალა გამოიჩინეს ამ სურვილის განსახორციელებლად. ყველამ გაიკვირვა, როდესაც ლორდმა ბიკონსფილდმა პირველად უწოდა ინგლისის დედოფალს ვიქტორიას ინდოეთის იმპერატრიცა, ხოლო თვით ინგლისს—აზიის სახელმწიფო. დღეს თამამად შეგვიძლიან ინგლისი აზიის, აფრიკის, ამერიკის და ავსტრალიის სახელმწიფოდ ჩავთვალოთ. იმპერიალიზმი ინგლისის პოლიტიკის ხელმძღვანელ აზრად, მთავარ ძარღვად გადაიქცა. ამავე დროს რუსეთი გაფართოვდა საშუალო აზიაში, დაუახლოვდა ინდოეთს და დამკვიდრდა ჩინეთის ოლქებში. ინგლისი თუ რუსეთი—ვინ გაიმარჯვებს ამათ შორის, ვინ გადაიქცევა უძლიერესს სახელმწიფოდ მეოცე საუკუნეში, აი, მოკლედ რომ მოვჭრათ, საგანი მომავალის პოლიტიკისა.

საფრანგეთმა დაიმორჩილა ტონკინი და მადაგასკარი, დაიჭირა აფრიკაში უზარმაზარი ადგილები, მართალია, სამ ნაწილად გაყოფილი, მაგრამ იმ რიგად მდებარე, რომ მათი გაერთიანება შეუძლებელს არ წარმოადგენს. სახარაზედ განზრახული რკინის გზა შეაერთებს ჩრდილოეთით ალჟირს ტუნისთან, დასავლეთით—სენეგალს სუდანთან, ხოლო სამხრეთით—სენეგალსავე კონკოსთან.

გერმანია, აწინდელის იმპერატორის ზეგავლენით, სამსოფლიო სახელმწიფოდ გარდაიქცა. თავის დროზედ ლიბერალთა უსარგებლო წინააღმდეგობამ ხელი შეუშალა ბისმარკს, რომ სამოას კუნძულების შეძენით საახალშენო პოლიტიკის გზაზედ დამდგარიყო. ამ ჟამად გერმანიას ადგილები აქვს როგორც აღმოსავლეთ, აგრეთვე დასავლეთ აფრიკაში.

ამერიკის შეერთებულ შტატების რესპუბლიკამაც-კი,—რაც ურო ნაკლებ მოსალოდნელი იყო—ვერ აუქცია ზურგი ამ საერთო მიმდინარეობას, ომი გამოუცხადა ევროპის ერთ სახელმწიფოს და ამით დაანახვა ყველას თავისი ძალა და ღონე.

თუ საერთო, სამსოფლიო ომი და სოციალური რევოლიუცია აქამომდე არ მოხდა, ეს კიდევ არა ნიშნავს, რომ ამის შემდეგაც არ მოხდება: პირველიცა და მეორეც უთუოდ რამდენისამე ხნით გადაიდო მხოლოდ.

მაგრამ ყველაზედ თვალსაჩინო საპოლიტიკო მოვლენა, დამახასიათებელი მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა, ისაა, რომ დიდნი სახელმწიფონი მთელ დედამიწას ერთმანეთ შორის იყოფენ. ამასთან სახელმწიფონი სცდილობენ ეს განაწილება ძმურად, თანხმობით და უომროდ მოახდინონ. ამისდა მიუხედავად, ეკონომიურ სარგებლობისა გამო, ისინი არავითარ დაბრკოლებას არ ერიდებიან და არაფერს არა ჰზოგავენ: ცეცხლითა და მახვილით იმონავებენ პატარა ერებს, მსხვერპლად სწირავენ, სცვლიან, როგორც სავაჭრო საქონელს, ოღონდ კი გულის წადილს მიაღწიონ, ან ძალმომრეობას ხმარობენ, ოღონდ მშვიდობიანობა დაიცვათ.

მე-XX საუკუნეში პატარა და მეორე ხარისხოვანი სახელმწიფონი უთუოდ დავიწყებას მიეცემიან, მათი სახელი სრულიად გაჰქრება და ბურთი და მოედანი მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს დარჩებათ. პატარანი დაჰკარგავენ პოლიტიკურ მნიშვნელობას და გავლენას; ყოველივე იმედი განვითარებისა და გაძლიერებისა მათთვის უქმი იქმნება. რაც უფრო პატარაა სახელმწიფო, მით უფრო

---

*) ეს წერილი გადმოვთარგმნეთ ერთ რუსულ გაზეთიდგან, რომელსაც თავისის მხრივ გადმოუღია შესანიშნავ კრიტიკოსის წერილებიდგან, დაბეჭდილს დანიურს ჟურნალს „Tilskueren"-სა და ნორვეგიულს გაზეთ „Verdens-gang"-ში.

განყოფილებას ამ 1901 წლისათვის 1100 მან. მიეცა.

⁂ ტფილისში არსდება მესამე ხარისხის კერძო სასწავლებელი მასწავლებლის კ. ი. პოპოვისა.

⁂ 8 იანვარს შეწყვეტილ იქმნა საბინაო გარდასახადის შესახებ სახლის პატრონთა განცხადების მიღება ტფილისის სახაზინო პალატასა და საფოსტო დაწესებულებებში. ამ დღიდგან 1-ლ თებერვლამდის სახლის პატრონთა განცხადებებს ხარჯთ-ამკრები ინსპექტორი მიიღებს. ვინც 1-ლ თებერვლამდის შეიტანს განცხადებას, იმას ნაკლები ჯარიმა გარდახდება, ვიდრე იმათ, ვინც განცხადებას სრულიად არ შეიტანს.

⁂ ფინანსთა სამინისტროს გარდაუწყვეტია რუსეთის რკინის გზით ხე-ტყის გადასაზიდი აწ მოქმედი ტარიფები გადაათვალიეროს და ცვლილება მოახდინოს.

⁂ გზათა სამინისტროს ნება დაურთავს, რომ თავისის საჭიროებისათვის მე-II და მე-III კლასის ბილეთებით მოგზაურთ სამხედრო და საზღვაო უწყების მოხელეთ წითელის ჯვრის სასარგებლოდ გარდასახადი გაიღონ ხოლმე ისრევე, როგორც ამას დანარჩენი მოგზაურნი იხდიან.

⁂ ტფილისის გუბერნატორს უთხოვნია ქალაქის მოურავისათვის დროით წარადგინოს ქალაქ ტფილისის მიმდინარე 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

⁂ ამ დღეებში გათავდა ამიერ-კავკასიის ინჟენერ-გიდრავლიკთა კრება. კრების ზოგიერთი დადგენილება წარედგინება მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დასამტკიცებლად.

⁂ ტფილისის გუბერნატორს დაუვალებია ქალაქის გამგეობისათვის შეიტანოს ტფილისის საგუბერნიო ხაზინაში 1200 მან., რომელიც ამ წელს ქალაქმა უნდა გადაიხადოს საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულოს შესანახად.

⁂ მკითხველებს ეხსომებათ ქალაქის გამგეობის დადგენილება, რომლითაც მოსთხოვეს ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს გაემართა ერევნის მოედანზედ რიგიანი სადგური რკინის გზისა, ვიდრე ეხლაა. ამ რამდენისამე ხნის წინად ბ-ნმა რობიმ უკვე წარუდგინა გამგეობას პროექტი ამ სადგურის გამართვის შესახებ. ქალაქის გამგეობამ განიხილა ეს პროექტი ხუთშაბათს, 11 იანვარს, და დაადგინა დამტკიცებულ იქმნას იგი.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე დეისტვიტ. სტატ. სოვეტნიკი ბ-ნი ვრაცკი სამსახურის საქმეებისა გამო ოთხშაბათს, 17 იანვარს, პეტერბურგში აპირებს წასვლას.

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის ბ-ნ სვეჩინის წინადადების თანახმად, 11 იანვარს ქალაქის გამგეობამ გარდასწყვიტა საქალაქო მკურნალად ნამყოფს ბ-ნ მაღალაშვილს თავისის მხრივ დაუნიშნოს პენსიად 174 მან. წელიწადში. ეს გარდაწყვეტილება წარედგინება დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს ორშაბათს, 15 იანვარს.

⁂ ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა ხუთშაბათს, 11 იანვარს, ქალაქის გამგეობის სხდომას წარუდგინა განსახილველად განცხადება ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო პოლიციის უფროს ზედამხედველისა ბ-ნ ა. ჯაბადარისა, რომელმაც გამგეობას სთხოვა ერთის თვის ვადით სამსახურიდგან განთავისუფლება. გამგეობამ დაადგინა განთავისუფლებულ იქმნას 20 იანვრიდგან ერთის თვის ვადით, ხოლო იმის თანამდებობის აღმასრულებლად დროებით მოიწვიონ საგანგებო სამრეწველო პოლიციის აგენტი ბ-ნი ბაზაროვი.

⁂ სამშაბათს, 16 იანვარს, ქალაქის გამგეობის სადგომში, მოხდება შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა, ტეხნიკოს-ხმოსანთა, ქალაქის ინჟინერის თანამდებობის აღმასრულებელისა და ქალაქის ტეხნიკოსებისა, რომელზედაც განხილულ იქმნება, სხვათა შორის, ის, თუ რა პირობებით უნდა ისარგებლოს ფუნიკულერის კონცესიონერმა მამადავითში გამართულ ქალაქის წყლის აუზიდან; ამავე სხდომაზედ განიხილვენ ზოგიერთ საგნებს ფუნიკულერის გზის გაყვანის შესახებ.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს ზაქათალიდგან ატყობინებენ, ადგილობრივი დედათა სასწავლებელი გადაუკეთებიათ მარინეს დედათა სასწავლებლად.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიაში ცეცხლის გაჩენისა გამო დაწყებული გამოძიება ტფილისის ოლქის სასამართლომ შესწყვიტა 8 იანვარს, რადგანაც დანაშაულის ნიშნები არავინ აღმოჩნდა.

⁂ ბარის ოსეთი. წარსულს თიბათვეში კავკასიის ეგზარქოსის მე-12 ნაწილის ბლაღოჩინმა მღვდელმა მამა ალექსანდრე ცაგოლოვმა კავკასიისა და მოზდოკის ეპისკოპოსს ვლადიმირს მოხსენება წარუდგინა. მოხსენებაში ბლაღოჩინი ცაგოლოვი, სხვათა შორის, სწერდა მათს მეუფებას: „ოსეთის ეკლესიებსა და სკოლებში ოსურს ენაზედ ძრიელ ცოტა-და მოიპოვება ჟამნი და პატარა სახარება და ამათი დაბეჭდვა-კი აუცილებელს საჭიროებას შეადგენსო“. ამის გამო, მამა ბლაღოჩინის ცაგოლოვის მოხსენებისა თანახმად, ყოვლად სამღვდელო ვლადიმირმა უწმ. სინოდის წინაშე იშუამდგომლა და სინოდმა ზემოხსენებულის წიგნების დასაბეჭდად 1500 მან. გადასდო.

⁂ სოფ. ყადგარონი (კავკასიის მაზრა). ამ სოფელში შავი ყვავილია გავრცელებული და დიდად აზარალებს ბავშობას. ზოგნი დიდრონებიც ხდებიან ავად ამ სენით.

⁂ 27 ქართველს ებრაელს სასამართლოში განცხადება შეუტანიათ, რომელშიაც ამბობენ, რომ 2 იანვარს არღუთინსკის ქუჩაზედ ოჯანზოვის სახლს განზრახ წაუკიდეს ცეცხლიო.

⁂ „ქუთაისის საგუბერნიო უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი: „შავის ზღვის პირის გუბერნატორის განკარგულებით დაეძებენ სადაც დამალულს სოხუმის ოლქის უფროსს პოდპოლკოვნიკს გლაგოლევს, რომელიც 13 დეკემბერს ბათუმს მისულა და შემდეგ ფოთში გამგზავრებულა. გლაგოლევს აცვია ძველი ლურჯი „ტუჟურკა“, ძველი ლურჯი პალტო და ხურავს წითელ კანტიანი ქუდი“.

⁂ როგორც შევიტყეთ, ამ ჟამად იბეჭდება ჩვენის პედაგოგის ბ-ნ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ახალი წიგნი, საყმაწვილო მოთხრობათა კრებული — „აკიდო“. ამ წიგნში 24 საყმაწვილო მოთხრობა იქმნება მოთავსებული. წიგნს ქუთათური წიგნების ამხანაგობა ჰბეჭდავს.

⁂ ქუთაისის ქალაქის გამგეობა იწვევს მსურველთ ქალაქის ხუროთ-მოძღვარის თანამდებობაზედ. ხუროთ-მოძღვარს წლიური ჯამაგირი 1500 მან. ექმნება.

⁂ პოლიციის მე-10 ნაწილში ხუთშაბათს, 11 იანვარს, განაცხადა მიხაილოვის პროსპექტზედ მოვაჭრე იცეკ როვერმა რომ წარსული წლის განმავლობაში დრო-გამოშვებით ჩემს მსახურს ნიკოლოზ გოტლიბოვს მოუპარავს ჩემგან სხვა-და-სხვა ნივთები, სულ 650 მან. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, გოტლიბოვს ეს ნივთები მიუყიდნია ტფილისის მოქალაქეთ რუბენ სანდარეიანცისა და ნიკოლოზ ოჰანეზის ძის შირინიანცისათვის, რომელნიც უკვე შეიპყრეს და პასუხის გებაში მისცეს.

⁂ ამ დღეებში ქალაქის მოურავს ევანგულოვს დაუთვალიერებია ქალაქის დედათა ავის სენის საავადმყოფო და, სხვათა შორის, უნახავს ერთი ავადმყოფი, 15 წლის ქალი, რომლის შესახებ მკურნალს ისტამანოვს გამოუცხადებია, რომ იგი რკინის გზის მუშის ქალია, სახელად ალექსანდრა გ-სკაიაო. 11 წლის ქალი გაუპატიურებია ერთს მედუქნეს; შემდეგ დედას დაუწყია ამ ქალით ვაჭრობა და საწყალი ქალი ავის სენით გახდარა ავად. ამის გამო ბ-ნის მოურავის წინადადებით, მკურნალს ისტომანოვს მოხსენება წარუდგენია, რომელშიაც სწერს, რომ ბევრს სახელმწიფოებსა და მათ შორის რუსეთშიაც არსებობენ მარიამ მაგდალინელის ქსენონები, რომელნიც დიდს დახმარებას უჩენენ ავის სენით ავადმყოფთ. ასეთ ქსენონის დაარსება ტფილისში 10 კაცისათვის, ბ-ნ ისტომანოვის გამოანგარიშებით, წელიწადში 2300 მან. დაჯდება და, თუ საბჭო ამ საქმისათვის .000 მანეთს გადასდებს, დანარჩენი ფული კეთილ-მოქმედთაგან შემოვაო.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. მახრისკამთა (კავკასიის მაზრა). წარსულს წლის გიორგობისთვის მიწურულებში აქ ერთი და არა ჩვეულებრივი ამბავი მოხდა. მახრისკამის სამრევლოს სოფელ კამთაში მცხოვრებს ისაია სეკინოვს მამა-პაპისაგან დარჩენილ კოშკის გვერდზედ აქვს მიდგმული საცხოვრებელი სახლი. კოშკი რამდენსამე სართულად გაიყოფება, ასე რომ საცხოვრებელი სახლი კოშკის შუა სართულამდე სწვდება. აი ამ კოშკის შუა სართულში ერთის მხრიდგან დამე-

---

სამწუხარო იქმნება მისი მომავალი ბედი.

მილის შემდეგ ინგლისს მრავალი გამოჩენილი მსწავლული და მეცნიერი ჰყავდა, რომელთაც ნათლად აღნიშნეს მისი ნაკლულევანებანი, მაგრამ ჩემზედ ისეთი ძლიერი გავლენა არც ერთს არა ჰქონია, როგორიც ჰერბერტს სპენსერსა ჰქონდა. ინგლისის სიტყვა კაზმულ ლიტერატურას წარსულ საუკუნეში მშვენიერი მხატვარნი ჰყავდა — მეუღლენი რობერტ და ელისაბედ ბროუნინგნი, რომელთაც საპატიო ადგილი უჭირავთ მეცხრამეტე საუკუნის უპირველეს მწერალთა შორის გრძნობათა კეთილშობილებით, აზრის სიფაქიზითა და ძლიერებით. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ეს მწერალნი ვერ მიტაცებენ ისე, როგორც სვინბორნი, რომლის ნაწარმოების მელოდიური და მდიდარი ლექსთა წყობა ჰხიბლავს მკითხველს, თუმცა გარეგანი ფორმა ლექსისა ბევრად მაღლა სდგას შინაარსზედ. განვითარებას ინგლისისათვის წარსულს საუკუნეში ის შედეგი ჰქონდა, რომ ამ სახელმწიფომ ხელი აიღო რესპუბლიკანობაზედ: წინანდელი რესპუბლიკელი იმპერიალისტად გადაიქცა, წინანდელი კოსმოპოლიტი — ნაციონალისტად, რომელიც ფანატიკოსობასაც-კი არ არის მოკლებული. ახალგაზდა, ნიჭიერი მწერალი კიპლინგი მხურვალე მომღერალია ამ მებრძოლ იმპერიალიზმისა.

რუსეთში წინა თაობის გამოჩენილმა კაცებმა ბევრი რამ შესძინეს თავის ხალხს და ამასთან ხელი შეუწყეს წარსულ საუკუნის ცივილიზაციის გაძლიერებას. ტურგენევი, დოსტოევსკი და ტოლსტოი დასავლეთ ევროპის მოწაფენი არიან, მაგრამ ამ მოწაფეებმა ნასესხები თანხა დიდის სარგებლით დაუბრუნეს ევროპას. ტურგენევმა ფრანგ მწერალთა სკოლის საშვალებანი რუსულ მასალას მოახმარა, ამავე დროს შესძინა ამ საშვალებათ მომხიბლავი, ბრწყინვალე ფორმა და დაიცვა სისპეტაკე აზროვნობისა; დოსტოევსკიმ წინ წასწია ფსიხოლოგია ბალზაკისა და დიკკენსისა, ხოლო ტოლსტოის, რომელიც რამდენადმე რუსსოს გვაგონებს, შემოქმედებითი ნიჭი საკაცობრიო მნიშვნელობამდე ამაღლდა.

პოლონელ მწერალთა შორის ბევრს ვიცნობ პირადად: ვიცნობ კონსერვატიულ პოეტს სენკევიჩს, რადიკალურ მწერალს სვენტოხოვსკის და მოთხრობების ნიჭიერ შემქნელს გავალევიჩს. გერმანიაში ვიცნობდი ძველის თაობის წარმომადგენელთ: პოეტს აუერბახს, დიად ლირიკოსს და საუცხოვო პროზაიკოსს გეიზეს, საზოგადოებრივ რომანის შემქნელს შპილგაგენს, დიდ ბრძენსა და ფილოსოფოსს ე. ჰარტმანს, დასასრულ ვიცნობ აწინდელ დრამატურგებს — ჰაუპტმანს, ზუდერმანს და ფულდს, რომელნიც ჩრდილოეთ-ლიტერატურის გავლენას ვერ ასცდნენ. იტალიელ მწერალთა შორის დიდად ვაფასებ კარდუჩჩისა და რაპისარდის.

პირველი ადგილი სკანდინავიის ლიტერატურაში უჭირავთ ნორვეგიაში იბსენსა, ბიერსონსა და ლის. პირველი მაგონებს დაქანებულ მიუდგომელ კლდეს, მეორე — გორას, მდიდარის მცენარეულობით შემკულს, მესამე — გორაკს ჩრდილოეთ ზღვაში, ფრინველთა ბუდეებით დაფენილს. შვეციაში პირველი ადგილი სტრინბერგს უჭირავს. სტრინბერგი ცეცხლ მფრქვევი მთაა, მწერალი, შეუზღუდველის ბუნების პატრონი, მდიდარი ჭკუითა და აღფრთოვანებით. 20 წლის განმავლობაში სტრინბერგი თითქმის ყველა არსებულ მოძღვრებას ქადაგებდა, მაგრამ ბოლოს იგი ისე გაიტაცა საკუთარმა და ამასთან საეჭვო ღირსების „მე“-მ, რომ სხვა რამის დახატვა შეუძლებელი შეიქმნა იმისათვის. დანიას თვალ საჩინო პოეტები ჰყავს: დრახმანი, პანტოპპიდანი და რამდენიმე ახალგაზდა მწერალი.

ლორდმა ალბერდინმა სთქვა ერთხელ: „ინგლისის ძალას ის მოვლენა შეადგენს, რომ ამ ქვეყნის პატიოსანნი შვილნი ისეთივე გამბედავნი და კადნიერნი არიან, როგორიც გაიძვერანიო“. ჩვენში, დანიაში, პატიოსანი კაცი კეთილშობილია, მაგრამ ამასთანავე მხნეობას მოკლებული, მოდუნებული; ჩვენ გვაკლია ოცნება, რომელიც ეგრე საჭიროა გამბედაობისათვის. კაცობრიობა სცხოვრობს და მოქმედებს უფრო ოცნებისა, ვიდრე გონების ზე-გავლენით. ის ნიჭი, რომლის ძალითაც რჩეულნი ადამიანთა ოცნებაზედ მოქმედებენ, განსაკუთრებული ნიჭია, რომელსაც ხშირად ჰენიოსობასთან საერთო არაფერი აქვს. დიდროს როგორც პიროვნებას, სრულიადაც არა ჰქონია ისეთი უზომო გავლენა ადამიანთა ოცნებაზედ, როგორიც ვოლტერსა ჰქონდა. იმ მცირედთა შორის, რომელთაც გავლენა ჰქონიათ მე-XIX საუკუნის ოცნებაზედ, პირველი ადგილი ნაპოლეონს უჭირავს. ეს კაცი ჰბატონობდა ევროპიელთა გონებას არა მარტო წარსულ საუკუნის პირველ 15 წელიწადს, არამედ შემდეგაც: 1830 წ., 1856 წ. და, ასე გასინჯეთ, 1890 წელსაც-კი. სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ წარსულ საუკუნის პირველ ნახევარში, ორია თვალ საჩინო: ტალეირანი — დიპლომატის იდეალი, და მეტტერნიხი — კონსერვატიულ მართვა-გამგეობის წარმომადგენელი.

პოეტთა შორის ორი იყო შესანიშნავი. ამ ორს დაემორჩილა მთელი ევროპის ოცნება. პირველი ბაირონია, რომელმაც თავისის ნაწარმოებითა და მოქმედებით სიცოცხლითვე მიიზიდა ყველას ყურადღება, ხოლო სიკვდილის შემდეგ ეს კაცი სულის ჩამდგმელი შეიქმნა ევროპის კულტურულ ცხოვრებისა: რუსეთსა, პოლონეთსა, საფრანგეთსა, გერმანიასა, იტალიასა და დანიაში. ბაირონი საუცხოვო დამამტკიცებელია იმისა, რომ ჰენიოსობა და ჭკვა-გონების სიდიადე-კი არ იზიდავს და იტაცებს ხალხს, არამედ ის, ვინც ამ ხალხის ოცნების აღფრთოვანებას ახერხებს. მეორე პოეტი, ევროპიელთა დამმორჩილებელი, გიოტეა, რომელიც წარსულ საუკუნის დასაწყისში მიწიერი ღმერთი იყო, ხოლო სიკვდილის შემდეგ თაყვანის საცემ კერპად გადაიქცა. წარსულ საუკუნის ფილოსოფოსთა შორის მხოლოდ ერთმა ჰეგელმა დაიმორჩილა თანამედროვენი, თუმცა-კი იმისი მოძღვრება სხვა ფილოსოფოსთა მოძღვრებაზედ მეტად არ უახლოვდება ჭეშმარიტებას. ჰეგელი არ იყო მსწავლული მკვლევალი, იგი უფრო მბრძანებელი, თვით მპყრობელი იყო მეცნიერებისა, მიუდგომლობით, თავისს აზრთა გაუგებარის გადმოცემით და ნისლ-ბურუსში გახვეულ სიტყვებით იგი თავბრუს უხვევდა ყველას. ამ თვისებითვე აიხსნება ერთის მხრით ჰენრიხ იბსენის სახელი და დიდება. სხვა გამოჩენილ კაცთა შორის, რომელნიც მე-XIX საუკუნის განათლებულ საზოგადოების ოცნებაზედ მოქმედებდნენ, შეგვიძლიან დავასახელოთ ვაგნერი, შემქნელი ახალის მუსიკისა; გეინე, ხმა ტკბილი ლირიკოსი და იშვიათად მახვილი მწერალი; ლასსალი, ნიჭიერი პროპოგანდისტი, და, დასასრულ, ჰარიბალდი და ბისმარკი.

ი. ა—მე

ვიდრე ბოროტ-განმზრახველს შეუდგია ნაღმი და თითონ არხეინად გასდგომია გზას. რასაკვირველია, ნაღმა იფეთქა და საშინლად დაიგრიალა. ამ არა ჩვეულებრივს გრიალზედ სოფელში მცხოვრებნი მძინარენი დაფეთიანებულნი გარეთ გამოცვივდნენ. მალე სკვინოვის სახლიდგან მდევრის ხმა მოესმათ და ყველანი იქით გაეშურნენ. საკვირველია! ქვედბური მაგარი კოშკის ნახევარი მხარე ნაღმს სულ გამოენგრია, მაგრამ საბედნიეროდ სცხოვრებელ სახლში სახლის წევრნი ყველანი უვნებლად დარჩენილიყვნენ. ნაღმისაგან ნასროლი კოშკის ნანგრევის ქვები, ისეთი ქვები, რომელსაც კაცი ძლივს ასწევდა, მეორე დღეს ორმოც სამოც საჟენზედ მოშორებით ნახეს.

კოშკის სულ ქვედა სართულში ეწყო 60 ფუთი თოფის წამალი; ეს ის წამალი იყო, რომელიც მახნოვსკისა და სტოროჟიკოვის სამრეწველო გზების შესაკეთებლად მისცა მთავრობამ. ბოროტ-განმზრახველს ჰგონებოდა რომ თოფის წამალი შუა სართულში აწყვიაო, მაგრამ განგებამ ხელი შეუშალა და დინამიტმა ქვედა სართულში არ იფეთქა, თორემ მაშინ, ეჭვი არ არის, მთელი სკვინოვის ოჯახი სახლიან-კარიანად და ადამიან-საქონლიანად სულ განადგურდებოდა!.. ბოროტ-განმზრახველის კვალი თოვლზედ წაიღეს და ამავე სოფელში დარჩა. ეჭვი მიიტანეს ერთს ამავე სოფელში მცხოვრებზედ, რომელსაც ძველი მტრობა ჰქონოდა სკვინოვთან; ოქმიც შეუდგინეს და წარადგინეს, სადაც ჯერ არს.

ახლა იქნება გაიკვირვოთ, დინამიტს საიდგან შოულობენ ეს მთის ხალხიო? ძალიან ადვილად: აქაური მცხოვრებნი, აქვე მთის მადნებში მუშაობენ; აი ამ მადნებში აძლევენ, უბრალო მუშებსაც-კი დინამიტს კლდეების სანგრევად უყურისმგდებლოთ, ასე რომ მერე აღარავინა ჰკითხავთ, რამდენი დახარჯა დინამიტი და რამდენი დარჩა. აი, ეს არის მიზეზი, რომ ყველა უბრალო მუშაც-კი თავისუფლად შოულობს დინამიტს. თქვენი მტერი, რომ, თუ მადნების მმართველი სიფრთხილით არ აძლევს მუშებს დინამიტს, მაშინ მოსალოდნელია უბრალო რამეზედაც-კი ერთმანეთს დინამიტით ააფეთქებენ. აი ჯერ ერთი მაგალითიც ხომ თვალ-წინა გვაქვს!

ქართველი ოსებში

თეატრის მატიანე

(ნ. გაბუნია-ცაგარლის ბენეფისი).

„ბედნიერი დღე", კომ. ოსტროვსკისა და სოლოვიოვისა და „მე მინდა კნეინა გავხდე" კომ. ზ. ანტონოვისა.

გუშინწინდელი დღესასწაული ჩვენის სცენის ნიჭიერისა და ღვაწლმოსილის მსახიობის ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ეჰე-გარეშეა, დღესასწაულის შესაფერისად ჩაივლიდა, რომ ერთის მხრით მსახიობთა ალმაფრენა და მეორეს მხრით-კი შთაბეჭდილება საზოგადოებისა წარმოდგენის დასაწყისშივე არ გაუგემურებულიყო.

არ იქნა და არა... ელექტრონმა თავისი მწარე დამცინავი ხუმრობა არ მოიშალა.

საკვირველია, ღმერთმანი! თითქოს ჯიბრში უდგანან ეს ელექტრონი და ჩვენი თეატრის გამგენი ერთმანეთს... პირველი იმით, რომ თითქმის ყოველ წარმოდგენაზედ ნათელის მაგიერ ბნელსა ჰფენს სცენასა, და მეორენი-კი იმით, რომ... ვერაფერი ვერ ულონიათ ელექტრონის ასეთის ცელქობის ასალაგმავად..

დაიწყეს, ბატონო, წარმოდგენა... ყველაფერზედ ეტყობოდათ, რომ საქმე რიგიანად უნდა წასულიყო... მაგრამ უეცრად დარბაზში სიბნელის ლანდმა გადაირბინა, სცენა ბინდბუნდმა მოიცვა, სინათლე თან-და-თან მინელდა, მიიბნიდა და შემდეგ გუნებიერ ძილს მიეცა.

მიიძინა და ისე ძლიერად, რომ ვეღარავითარმა ცდამ ვეღარ გააღვიძა.

ამ დროს ვილაცის მადლიანმა ხელმა მსახიობ-ქალს კარებში სანთელი მოაწოდა, მსახიობმა ეს სანთელი სუფლიორს დაუდგა და იმანაც ენა ამოიდგა. შემდეგ წინა კულისებიდგან ორი ჰმბოლავი „ლამპარი" გამოდგეს, გაზორკნილ ბერ-კეტებზედ შემდგარი.

მაგრამ სულ დამავიწყდა, რომ იმ წარმოდგენის შესახებ უნდა დავწერო შენიშვნა, რომელიც ქ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ იყო გამართული და არა იმ წარმოდგენისა, რომელიც ელექტრონმა, ქართველ საზოგადოებას გუშინ წინ გაუმართა...

პირველი მოქმედება „ბედნიერი დღისა" შეკვეცილ-შემოკლებული იქმნა და მეორე მოქმედების დასაწყისში საზოგადოებას კვლავ ახალი საჩუქარი მოელოდა. რეჟისორის თანაშემწემ გამოაცხადა, რომ, ბ-ნ შათირიშვილის ავადმყოფობის გამო, ივანოვის როლს მოუმზადებლად ბ-ნი აბაშიძე შეასრულებსო.

არ გვეწყინა, ღვთის წინაშე, ასეთი განცხადება, რადგანაც გვეგონა, რომ ბ-ნი აბაშიძე თუ არ დაამშვენებს ივანოვის როლს, არარას დააკლებსო. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი „გვეგონა" მართალი არ გამოდგა.

არ ვიცით, ელექტრონმა შეჰყარა თავისი სენი, თუ სხვა საპატიო მიზეზების გამო, ბ-ნი აბაშიძე კი არა თამაშობდა ისე, როგორც მსახიობს შეეფერება,—არამედ ხუმრობდა... ობუნჯობდა...

„ბედნიერი დღე" გაუფერულდა და ეს არც გასაკვირველია, რადგანაც სანთლებით განათებულს სცენაზედ კვლავ ბინდ ბუნდი ჰმეფობდა და ცოცხალ ადამიანების მაგიერ მსახიობთა აჩრდილნი მიმოიძვროდნენ.

„მე მინდა კნეინა გავხდე"-მ გაგვამხიარულა, რადგანაც საზოგადოება თან და თან მიეჩვია სინათლის სიმწირეს. მსახიობნიც ხერხიანად და ხმა-ტკბილად თამაშობდნენ. რაღა თქმა უნდა, რომ მობენეფისე გვირგვინი იყო წარმოდგენისა, მხოლოდ ის გვეხამუხებოდა, რომ „უსინათლობა" გვიშლიდა მსახიობის მრავალ-მეტყველი სახის მოძრაობა გაგვეჩხრია.

ბ ნმა აბაშიძემაც მოიშორა წინანდელი უგემურობა და ბევრი გვაცინა მინას პეტრუზიჩის როლის მხატვრულის გადმოცემით.

ძალიან კარგი იყო აგრეთვე ბ-ნი გამყრელიძე „კუტრ" თავადის როლში.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს თვით მობენეფისემ (სიმღერით), ადამიძემ და ტუმანსკიმ. დივერტისმენტი ლეკურით დამთავრდა.

წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო, რომელიც მობენეფისეს ალტაცებით მიეგება. მობენეფისემ მრავალი საჩუქარი მიიღო.

ინ-ზენ

უცხოეთი

—

ინგლისი. როგორც ხმა დადის, ამ დღეებში ლონდონში ერთის ფრიად საყურადღებო საგნის შესახებ მინისტრთა საბჭოს თათბირი ჰქონია. ინგლისის მთავრობას ერთის სახელმწიფოსაგან არა ოფიციალური ცნობა მიუღია იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელს განზრახვა აქვს ინგლისსა და აფრიკის რესპუბლიკებს შუა მეგობრული შუამდგომლობა გასწიოს. გაზეთები ამ სახელმწიფოს არ ასახელებენ, მაგრამ იგი უთუოდ გერმანია უნდა იყოს, რადგანაც ამ ჟამად უკეთესი მეგობრული განწყობილება არავისთან არა აქვს! ამ სახელმწიფოს გარდაუწყვეტია ოფიციალურად დაიწყოს შუამდგომლობა, თუ დარწმუნდება, რომ ინგლისი თანახმა არის. გამოუმჟღავნებულის საქმის მოთავეობას შუამდგომლობის შესახებ მაშინ ჰოლანდიისა სთხოვენ, რომ სამშვიდობო წინადადება ძლიერის სახელმწიფოს მხრივ ძალდატანებად არ იქმნეს მიღებული.

— მარსელიდგან მიღებული ბოლონდელი № „Djibouti"-ს იუწყება, რომ ინგლისელებს ტრანსვაალში საბრძოლად რამდენიმე ასი აბესინელი მოუგრებიათ და გემში ჩაუსხამთ გასაგზავნად, მაგრამ აბესინიის კონსულს დაუყოვნებლივ მოუთხოვნია საფრანგეთის მოხელეთათვის, რომ აღეკრძალათ, და განუცხადებია, რომ მთავრობის ნებადაურთველად თავისუფალ მეომართ არსად გაუშვებს.

ჩინეთი. პარიჟის პოლიტიკურ წრეების აზრით სამშვიდობო მოლაპარაკება მაისზედ ადრე არ გათავდება და იმ დრომდე საფრანგეთის ჯარი პიმონიც პეკინში დარჩება.

როგორც ვაშინგტონიდგან იუწყებიან, ამერიკის მთავრობა თურმე თხოულობს, რომ სახელმწიფოთა ზარალის საზღაური ერთად 200 მილიონ დოლარს არ აღემატებოდეს. ამასთანავე ერთად თხოულობს იგი, რომ აღნიშნულის საგნის გარდასაწყვეტად კომისსია იქმნეს ამორჩეული, რომელიც ხუთის იურისტისაგან უნდა შესდგეს დანიიდგან, შვეციანორვეგიიდგან, ჰოლანდიიდგან, რუმინიიდგანა და პორტუგალიიდგან, ე. ი. იმ სახელმწიფოთაგან, რომელნიც არავითარს პირდაპირს სარგებლობას არ გამოელიან ჩინეთისაგან.

— ამ ბოლოს დროს გაზეთები საყურადღებო ამბებს იუწყებიან. ამბობენ, მაგალითად, რომ სინანფუში ამ ჟამად ჩინელთა 85,000 ჯარის-კაცი გარჯიშობს, რომ ევროპის სახელმწიფოთა ჯარებს საბოლოო წინააღმდეგობა გაუწიონ. ჩინელთა ჯარს საუკეთესო, განკარგებული იარაღი თურმე აქვს.

— „Амурская газета"-ს სიტყვით, მანჯურიის მცხოვრებნი ახლა სრულიად ახალს აზრს დასდგომიან: მეტი ნაწილი საზოგადოებისა რუსეთის ქვეშევრდომობასა თხოულობს, ან-და, იმას, რომ რუსეთის მთავრობამ მცხოვრებთა გამოსაკვებად იზრუნოს რამე, რადგანაც თითქმის ყველანი დამშეულნი არიან. ყველაზედ მეტად ციციკარის მცხოვრებნი თურმე არიან შევიწროებულნი, სადაც ყოველივე სურსათი ერთი ათად დაძვირებულია.

— დამნაშავეთა დასასჯელად ევროპის ჯარების უფროსებს ახალი დადგენილებანი შეუმუშავებიათ პეკინში. „დათვანის სააგენტოს" სიტყვით, აღნიშნულ დადგენილებებით უნდა იხელმძღვანელონ ჩინეთის მოსამართლეებმა, რომლებსაც თითოეულის ოლქისათვის გენერლები დაჰნიშნავენ. სიკვდილით დაისჯებიან ისინი, ვინც ბოქსერების მოძრაობაში მონაწილეობას მიიღებს, ვინც უცხოელთა ანუ ჩინელთა ქონებას რაიმე ზარალს მიაყენებს მოძრაობის დროს, ვინც უცხოელთა დარაჯს, ანუ მის წარმომადგენლებს თავს დაესხმება,—ვინც დაპატიმრების დროს წინააღმდეგობას გაუწევს, მკვლელობის განზრახვაში, ანუ მკვლელობაში შენიშნულ იქმნება, ვინც ძარცვა გლეჯაში, ყალბის ფულის მოჭრაში, ძალადობაში და სხ. შენიშნულ იქმნება. სიკვდილით დასჯა ოლქის ჯარების უფროსმა უნდა დაამტკიცოს.

ინგლის-ტრანსვაალის ომი. სამხრეთ აფრიკის ომის გამო უკმაყოფილება ყველგან მატულობს. ფრედერიკ გრინვუდი სწერს: ყველამ ჩვენგანმა უნდა აღიაროს, რომ სამხრეთ აფრიკის ომი ჩვენთვის დიდი უბედურობაა! როგორც მტკიცდება, მხედრობაც ასრევე უკმაყოფილოა ომით: ორს მესამედს ჯარებისას სამხრეთს აფრიკაში აქტიური მოქმედება სრულიად შეუწყვეტია და გზებს და ქალაქებს-ღა თურმე იცავენ, რომ მტერს არ ჩაუვარდეს ხელში; ექსპედიციებიც სრულიად შეუწყვეტიათ. მაგრამ მტრის მოსაგერებლადაც-კი ძალა აღარ შესწევთ და სურსათი ბევრგან შემოლეული აქვთ, რადგანაც ინგლისელების სურსათს უმეტეს ნაწილად ბურები იტაცებენ...

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 იანვარი

პეტერბურგი. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებითურთ გემით „შტანდარტით" სევასტოპოლში მობრძანდნენ 10 იანვარს, დილის 9 საათზედ, და საღამოს 7 საათსა და 30 წუთს რკინის გზით პეტერბურგს წაბრძანდნენ. გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება სახელმწიფო საბჭოს სენატორის ტერნერის სახელობაზედ. ტერნერს ებოძა ბრილიანტის ნიშნები ორდენის წმ. ალექსანდრე ნეველისა.

ბერლინი. ბრძანება იქმნა გაცემული ჯარში, რომ დედოფლის ვიქტორიას გარდაცვალების გამო იგლოვონ აფიცრებმა 14 დღეს, ხოლო აფიცრებმა პირველ გვარდიის დრაგუნთა რაზმისა, რომლის შეფადაც დედოფალი ითვლებოდა, სამ კვირას.

ოსბორნი. დედოფლის გვამი ჯერ ისევ ტახტზედ ასვენია ოთახში, სადაც გარდაიცვალა. ჯარის-კაცნი კიბეზედ არიან გამწკრივებულნი; ორი აფიცერი დარაჯადა სდგას ოთახის კარებთან. მოსამსახურენი და ფერმერები რიგ-რიგობით შედიან ოთახში და გადიან. განსვენებულ დედოფალს წყნარი და მშვიდობიანი სახე აქვს, როგორც მარმარილოს ქანდაკებას. გულზედ მდიდარი ჯვარი ასვენია. თავი მარცხნივა აქვს გადადებული; ტახტს გარშემო ყვავილები აფენია. გვამთან ორი ინდიელი ლაქია და ერთი სეფე-ქალი დარაჯობენ.

ლონდონი. როდესაც მეფე საიდუმლო საბჭოს კრებაზედ მოვიდა, მაშინვე არ შესულა იმ დარბაზში, სადაც საბჭოს წევრებს კრება ჰქონდათ. დევინშირის ჰერცოგმა, როგორც საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარემ, აუწყა კრებას დედოფლის გარდაცვალებისა და პრინცის უელსის ტახტზედ ასვლის ამბავი. შემდეგ დეპუტაცია, ჰერცოგებსა და სხვა ამოჩენილ კაცთაგან შემდგარი, გაემართა მეფესთან, რომელიც რამდენისამე წუთის შემდეგ შევიდა დარბაზში და მოკლე სიტყვით მიჰმართა იქ მყოფთ. შემდეგ, როდესაც ლორდ-კანცლერმა დაიფიცა მეფე, საიდუმლო საბჭოს წევრებმა ერთგულება შეჰფიცეს მეფეს და რიგ-რიგობით ხელზედ აკოცეს. ცერემონია ამით დასრულდა. ხვალ, დილის 10 საათზედ, სენ-ჯემსის სასახლის წინ აღიარებენ ედუარდ VII დიდის ბრიტანიისა და ირლანდიის მეფედ და ინდოეთის იმპერატორად. მარლბოროგაუსში დაბრუნებისას ხალხი ყველგან აღტაცებით ეგებებოდა მეფეს.

ხარკოვი. გამოცხადებულ იქმნა განაჩენი ციგანთა ბრბოს საქმის გამო. ძარცვა-გლეჯის მონაწილეთ, რიცხვით 8 კაცს, ჩამოხრჩობა გადაეწყვიტათ. კორიაკებს, ცოლსა და ქმარს, რომელნიც იფარავდნენ მძარცველებს, გადაეწყვიტათ 15 წლით კატორგაში გაგზავნა. საქმის განხილვას სასამართლო 12 დღე მოუნდა, თათბირს — 12 საათი. ბრალდებულთ შედარებით აუღელვებლად მოისმინეს განაჩენი. იმათ საჩივრის გადატანის სურვილი განაცხადეს. ვადა საჩივრის გადატანისა 48 საათია.

ლონდონი. პარლამენტი ნაშუადღევს შეიკრიბა, ყველა წევრები ძაძაში იყვნენ შემოსილნი. სპიკერმა აუწყა კრებას დედოფლის გარდაცვალების ამბავი და დაუმატა: „ვალად გვდევს ფიცი მივიღოთ, რომ ერთგულად ვემსახურებით მეფე ედუარდ VII-ოს". ჯერ სპიკერმა, მერე პარლამენტის სხვა წევრებმა ფიცი მიიღეს. ფიცი მიიღეს აგრეთვე იორკისა და კემბრიჯის მთავარ-ეპისკოპოსებმა, მერე იორკისა და კონაუტის ჰერცოგებმა, გრაფმა რობერტსმა და სხვა ლორდებმა. განიხილეს წინადადება იმის შესახებ, რომ პარლამენტის მხრივ გამოეცხადოს მეფეს სამძიმარი დედის გარდაცვალებისა გამო და ამასთანავე მილოცვა ტახტზედ ასვლის გამო.

ლონდონი. საიდუმლო საბჭოს კრებაზედ სენ-ჯემსის სასახლეში მეფე და იმისი ამალა სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილნი შევიდნენ. მეფეს სიტყვა დაწერილი არა ჰქონია, პირდაპირ წარმოსთქვა სათქმელი, ამასთან მეტად გარკვევით; ეს სიტყვა უთუოდ შემდეგ გამოქვეყნებული იქმნება ოფიციალურად. იმ დროს, როდესაც მეფემ სიტყვა დაიწყო, ზარბაზნები გაისროლეს ნიშნად გამგებლობის გამოცვლისა. ჰერცოგები კონაუტისა და იორკისა ხვალამდე ლონდონში დარჩებიან. განსვენებულის გვამს ვინძორში უთუოდ ზეგ გაასვენებენ.

პეტერბურგი. ინგლისის დედოფლის გარდაცვალების გამო სასახლეში სამის თვით იმგლოვიარებენ.

ლონდონი. სამხედრო სამინისტროს ბრძანებით, ახალი მეფის ტახტზედ ასვლის გამოცხადების დროს, ჯარი ქუჩაში იქმნება გამწკრივებული. ჯარის დროშებს დასაფლავებამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძძით შეჰმოსენ. უკვე გამოცემულ პროკლამაციით იმათ, ვინც-კი რამე თანამდებობას ასრულებენ, დაევალა განაგრძონ თანამდებობათა ასრულება. პირველი ნაწილი სამგლოვიარო ცერემონიისა მოხდება წმ. გიორგის კაპელაში ვინძორს უცხოქვეყნელ უმაღლეს პირთა და მოწვეულთა თანადასწრებით. შემდეგ გვამს გადაასვენებენ ფროგმორში, სადაც პანაშვიდს გადაიხდიან. პანაშვიდს მხოლოდ სამეფო ოჯახის წევრნი დაესწრებიან.

ლონდონი. მეფის ტახტზედ ასვლის ამბავი დიდად საინტერესოა. დილის 8 საათზედ მორიგი ჯარი, რომელიც გრენადერთაგან შესდგებოდა, ოთხ-კუთხად დარაზმდა სენ-ჯემსის სასახლის ეზოში. სახლის აივანი წითელის მაუდით იყო მორთული. მახლობელ ქუჩებსა და ხეივნებში დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა. 9 საათზედ აფიცერმა დაიძახა: „უფრთხილდით“! და იმავე წუთს გრაფმა რობერტსმა თავისის ამალით გაიარა, უეცრად ყველამ აივნისაკენ მიიხედა, სადაც გამოჩნდა ოთხი ჰეროლდი 8 ასისტენტით; ყველანი საშუალ საუკუნის ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნი. შემდეგ გამოვიდნენ: ჰერცოგი ნორფოლკისა, გრაფი მარშალი და სამეფო კარის უმაღლესი მოხელენი. როდესაც ნორფოლკის ჰერცოგმა ანიშნა, ასისტენტებმა ოქროს საყვირები დაუკრეს. შემდეგ მთავარ ჰეროლდის მოადგილე, 80 წლის მოხუცი, წინ გამოვიდა და მაღალის ხმით წაიკითხა ტრადიციონული პროკლამაცია, რომელშიაც ძველის ენით მეფის ტახტზედ ასვლაა გამოცხადებული. კითხვის დროს ყველამ ქუდი მოიხადა. ბოლოს, ჰეროლდმა, მოიხადა რა სამკუთხიანი შლიაპა, წამოიძახა: God Jaue the king, ბრბომ აღტაცებით გასცა პასუხი. მუსიკა საერო ჰიმნს უკრავდა იმ დროს, როდესაც ჰეროლდები განაგრძობდნენ საყვირების დაკვრას. როდესაც ცერემონია დასრულდა, ჰეროლდები და სხვა მონაწილენი სამეფო ეტლებით გაემართნენ ქალაქში, თან ცხენოსანნი ახლდათ. პროკლამაცია განმეორებულ იქმნა Roual exehanqe ს წინაშე ლორდ მერისა და ალდერმანთა თანადასწრებით. პროკლამაციის შემდეგ ბრბო მღეროდა. მეფე და ჰერცოგები 11 საათსა და 20 წუთს ოსბორნში წავიდნენ.

ვენა. რუმინიის მინისტრ-პრეზიდენტი გერმანიასა და ავსტრიაში, ამბობენ, იმ აზრით იყო, რომ ვითომ მოემზადებინა სამთა კავშირის სახელმწიფონი რუმინიასა და ბოლგარიის შორის სადიპლომატო კავშირის შეწყვეტისათვის, გაეგებინებინა შეტაკება ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ და თავიდგან აეხადნა რუმინიისთვის პასუხის-გება

პეკინი. ჩინეთმა სთხოვა სახელმწიფოებს აღნიშნონ ის ადგილები, სადაც შეჩერებული იქმნება ეგზამენები, ნება დართონ იარაღის შეტანისა ყაჩაღობის მოსასპობად და საბაჟო გადასახადის მომატებისა, დანიშნონ ვადა ჯარიმის გარდახდისა, განსაზღვრონ საელჩო უბნები და ჯარის გაყვანის ვადა დანიშნონ.

ლონდონი. დედოფლის გვამს ოსბორნში 19 იანვარს გადაასვენებენ. დაასაფლავებენ 20 იანვარს ვინძორში. დედოფლის მიერ გამოცხადებულ სურვილისამებრ, დასაფლავება დიდძალის ჯარის თანადასწრებით მოხდება.

უტრიხტი. კრიუგერს თვალის ოპერაცია გაუკეთეს პროფესორმა სნელლენმა და მკურნალმა გეიმანმა.

12 იანვარი

ოსბორნი. გერმანიის იმპერატორი ინგლისიდგან დედოფლის დასაფლავების შემდეგ წავა. გერმანიის მემკვიდრე პრინცი 13 იანვარს მოვა.

კაუსი. მეფის მოსვლამდე კაუსში ნისლი იდგა, მაგრამ გაიფანტა. 12 საათის შემდეგ ზარბაზნები დასცალეს ახალის მეფის პატივსაცემად. როდესაც სამეფო გემი „ალბერტი“ გამოჩნდა, ნავთ სადგურში მყოფი გემები დროშებით დაამშვენეს. მეფის სახლობის ნაპირზედ გამოსვლისას 21-ჯერ გაისროლეს ზარბაზნები. დაშვებული დროშები იალქნის ნახევრობამდე ასწიეს, როდესაც სამეფო ეტლი წავიდა ნავთსადგურიდგან. იქ მყოფნი ყველანი სამგლოვიარო ტანისამოსში იყვნენ. მეფე თავის დაკვრით პასუხს აძლევდა ხალხის სალამს. რამდენისამე წუთის შემდეგ მეფე ოსბორნში მოვიდა.

◆ ◆

სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

13 იანვარს:

სამსონ გურეშიძისა, კაცის მკვლელობა ჰბრალდება.

ვასილ პილიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

დიმიტრი მურადხალაშვილისა, რომელსაც სააქციზო წესდების დარღვევის ბრალი ედება.

მიხეილ ონიალისა, რომელსაც კაცის დაჭრა ჰბრალდება.

საშაბ თორმაიასი, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

ანტონ ქიტუაშვილისა, რომელსაც კაცის ხანჯლით დაჭრა ჰბრალდება;

ერმილე კოხიაშვილისა, რომელსაც ჩუმად არყის გამოხდის ბრალი ედება.

16 იანვარს:

ტაკვია ცვიჟბაიასი, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება.

დიმიტრი გვახარიასი, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება.

ლუკა მაისურაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1480 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

სტეფანე ნიკოლაიშვილისა, რომელსაც სიყალბის ჩადენა ჰბრალდება.

20 იანვარს:

ალექსი გულიტაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება.

მიხეილ აბაზაძისა, გიორგი თათულაშვილისა, ლაზარე ჩლაჩეიშვილისა და ივანე დათუნაიშვილისა, რომელთაც ქურდობა ჰბრალდებათ.

◆ ◆

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.

ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში — ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—28)

---

20 იანვრიდგან ტფილისში გაიხსნება ახალი საკომერციო სასწავლებელი

საბუჰგალტერო კლასები

მოზრდილ ქალებისა და ვაჟებისათვის.

სავალდებულო საგნებია:

1) ბუჰგალტერია.
2) ანგარიში ჩოთქზედ.
3) საკომერციო კორესპონდენცია.
4) საკომერციო არითმეტიკა.
5) საბანკო საქმე.
6) კალიგრაფია (ლამაზად წერა).
7) ტეხნოლოგია.
8) სავაჭრო საქონლის ცოდნა.
9) სავაჭრო კანონები.
10) კომერცია.

არა სავალდებულო საგნები:

უცხო ენები და სტენოგრაფია. საბუჰგალტერო კლასებში მიიღებენ სამოქალაქო სასწავლებლებსა და საშუალო სასწავლებელთა 3 კლასში სწავლა-დამთავრებულ ქალებს და ვაჟებს არა უმცროს 15 წლისას, ანუ ვინც დაწესებულს გამოცდაზედ გაიმარჯვებს. სწავლა რამდენსამე სემესტრად იქნება დაყოფილი. მთელის კურსის სწავლის ფასი 60 მანეთია. თხოვნები მიიღება კლასების კანცელარიაში, მიხეილის ქუჩა, № 56, ანუ კურსების დამაარსებელთან, მიხეილის ქუჩა, № 71.

(15—6.—4) კურსების დამაარსებელი **ი. ი. ბრონ-ფონ ბრიენერი.**

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА 48 ТОМОВЪ

избранныхъ произведеній современныхъ **АНГЛІЙСКИХЪ, ФРАНЦУЗСКИХЪ, НѢМЕЦКИХЪ, ШВЕДСКИХЪ, ДАТСКИХЪ** и **ФИНСКИХЪ** писателей.

Изъ **АНГЛІЙСКИХЪ** писателей въ эту серію войдутъ:

Джеромъ К. Джеромъ—„Театральный мірокъ“, „Какъ написать повѣсть“, „Дневникъ двухъ пилигримовъ“, „Размышленія досужаго человѣка“ въ двухъ частяхъ, „Трое въ одной лодкѣ, кромѣ собаки“, „Какъ мы втроемъ слонялись“ и разсказы.

Редіардъ Киплингъ—романъ „Свѣтъ погасъ“ и лучшіе изъ индійскихъ и другихъ разсказовъ.

Робертъ Луи Стивенсонъ—„Островъ сокровищъ“, „Киднапедъ“, „Докторъ Джекиль и мистеръ Гайдъ“, разсказы, написанные въ подражаніе „Тысячи и одной ночи“, разсказы о дикаряхъ и др.

Уэльсъ—„Невидимка“, „Островъ д-ра Моро“, „Машина для измѣренія времени“, „Борьба міровъ“, „Когда спящій проснется“ и разсказы.

Конанъ-Дойль—избранные разсказы изъ „Записокъ“ и „Мемуаровъ“ сыщика Чарлока Хольмса.

ИЗЪ **ФРАНЦУЗСКИХЪ** ПИСАТЕЛЕЙ НАМѢЧЕНЫ:

Гюи де-Мопасанъ—двѣ серіи посмертныхъ разсказовъ.

Поль Бурже—„Вторая любовь“, „Физіологія новой любви“, лучшіе разсказы и романы: „Жестокая загадка“, „Преступленіе любви“, „Андре Корнели“, „Ложь“, „Ученикъ“, „Сердце женщины“, „Космополисъ“ и „Трагическая идиллія“.

Марсель Прево—„Исповѣдь юноши“, „Осень женщины“, „Письма женщинъ“, „Полудѣвы“, „Завѣтный садъ“ и др.

Пьеръ Лоти—„M-me Хризантемъ“, „Свадьба Лоти“, „Мой братъ Ивъ“, „Романъ одного спаги“, „Исландскій рыбакъ“ и др.

Жипъ—романы: „Около брака“ (выдержало въ подлинникѣ 95 изданій), „Замужество куколки“ (57 изд.), „Маленькій Бобъ“ (53 изд.) и „Около развода“ (47 изд.).

Жоржъ Онэ—увѣнчанный французской академіей романъ „Сержъ Панинъ“ и романъ „Горнозаводчикъ“.

Франсуа Коппе, Анатоль Франсъ, Катюль Мендесъ, Арманъ Сильвестръ, братья Рони и Поль Маргеритъ—въ ихъ лучшихъ повѣстяхъ и разсказахъ.

ИЗЪ **НѢМЕЦКИХЪ** ПИСАТЕЛЕЙ ИЗБРАНЫ:

1) **Германъ Зудерманъ**—романъ „Забота“, юмористическая повѣсть „Свадьба Іоланты“, разсказы изъ сборника „Въ сумеркахъ“, въ которыхъ авторъ обнаружилъ блестящій талантъ остроумнаго, бойкаго разсказчика; и 2) **Юліусъ Щтинде**—юмористическій романъ котораго „Семейство Бухгольцъ“ выдержалъ въ подлинникѣ множество изданій.

Изъ произведеній **ШВЕДСКИХЪ, ДАТСКИХЪ и ФИНСКИХЪ** писателей—**Августа Стриндберга, Амаліи Скрамъ, Густава Гейерстама, Іонаса Ли, Пера Гальстрема, Петра Нансена, Юханни Ахо и др**—въ новую серію войдутъ талантливѣйшіе повѣсти и разсказы.

Произведеніямъ каждаго изъ поименованныхъ писателей будутъ предшествовать его портретъ и біографія-характеристика.

Ежемѣсячно, начиная съ **15-го декабря 1900 года**, будетъ выходить по **ЧЕТЫРЕ** тома, до 20 печатныхъ листовъ (320 страницъ) каждый. Все изданіе закончится **15-то ноября 1901 года.**

Стоимость въ подлинникахъ всѣхъ произведеній, имѣющихъ войти въ новую серію, значительно превышаетъ **СТО РУБЛЕЙ.**

ЦѢНА ПО ПОДПИСКѢ:

ЗА 48 ТОМОВЪ без доставки **16** р. съ доставкою въ С.-Петербургѣ и съ пересылкою въ другіе города **20** р.

РАЗСРОЧКА ДОПУСКАЕТСЯ НА СЛѢДУЮЩИХЪ ОСНОВАНІЯХЪ:

Подписчикамъ безъ доставки: при подпискѣ вносится 4 р., къ 10 февраля 1901 г. 4 р., къ 10 апрѣля 4 р. и къ 10 іюня 4 р.

Подписчикамъ съ доставкою: при подпискѣ вносится 5 р., къ 10 февраля 1901 г. 5 р., къ 10 апрѣля 5 р. и къ 10 іюня 5 р.

Гг. служащіе въ казенныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкою за поручительствомъ гг. казначеевъ и лицъ, завѣдующихъ подпискою.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Подписчикамъ съ доставкою разсылается каждое 15-е число по 4 тома, начиная съ 15-го декабря 1900 г., и въ случаѣ неполученія книгъ своевременно, контора Редакціи покорнѣйше проситъ заявлять объ этомъ не позднѣе 15-го числа слѣдующаго мѣсяца, въ противномъ случаѣ заявленіе и жалоба остаются безъ послѣдствій.

Подписчикамъ безъ доставки книги выдаются только при предъявленіи подписного билета, безъ билета ни въ какомъ случаѣ книги не выдаются. Подписные билеты на полученіе книгъ подписчиками съ доставкою или безъ доставки дѣйствительны только до 15 января 1902 года.

Деньги ни въ какомъ случаѣ обратно не возвращаются.

За каждый взносъ подписчикъ въ разсрочку имѣетъ получить только два выпуска въ восемь книгъ, если не будутъ сдѣланы дальнѣйшіе взносы.

Въ случаѣ просрочки платежа выдача или высылка книгъ пріостанавливается со дня обязательнаго взноса платежа. Если же просрочка продолжится болѣе одного мѣсяца, то подписка считается перекращенною и внесенныя деньги не возвращаются.

Безъ штемпеля «Редакціи» подписной билетъ недѣйствителенъ, равно и безъ штемпеля «Конторы» на талонахъ подписного билета полученіе денегъ недѣйствительно.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ: въ С.-Петербургѣ—въ Конторѣ журнала, Гостиный дворъ, Зеркальная лин., № 63, магазинъ Пантелеева, **въ Москвѣ**—въ Конторѣ Н. Н. Печковской, Петровскія линіи, а **гг. иногородніе благоволятъ адресоваться** въ Редакцію, С.-Петербургъ, Верейская ул., № 16, собств.

Редакторъ **С. С. Трубачевъ.** Издатель **Г. Θ. Пантелеевъ.**

3—3

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 го Января 1901 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე